ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №256137

ნომერი: AR163601

თარიღი : 03.07.2012

გაცემის თარიღი : 10.07.2012

გაცნობის თარიღი : 10.07.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა საბურთალო , N 55 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ჩხაიძე პ/ნ 01009018088
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 51 კორ. 4 ბ. 78

ორგანიზაცია:

- შპს "დეკარი" კოდი: 205150218

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 5 მ-მდე სიგრძის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის მქონე შენობა-ნაგებობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ არქიტექტურის სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია თქვენი მოთხოვნის დაკმაყოფილება, თუმცა ვინაიდან სარეკონსტრუქციო არეალი განთავსებულია ქალაქის გეგმარებით კარკასზე, მეტალოპლასტმასის ვიტრაჟების ნაცვლად უნდა მოეწყოს ალუმინის ალათებით შევსებული კარ-ფანჯარა. აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა წარმოადგინოთ განახლებული ფოტომონტაჟი, მასალისა და გაბარიტული ზომების დატანით.

ამასთანავე გაცნობებთ:

1. ნომენკლატურა არ არის შერჩეული სწორად. განცხადების განმეორებით დარეგისტრირებისას შეარჩიეთ: "I კლასი - მცირე არქიტექტურული ობიექტები" - "ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი" - ქმედებები "რეკონსტრუქცია" და "I კლასი - მცირე არქიტექტურული ობიექტები" - "შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი" - ქმედებები "რეკონსტრუქცია".
2. არქიტექტურის სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს სარეკონსტრუქციო ფართის მესაკუთრემ, შ.პ.ს. "დიო"-ს დირექტორმა ან მისი მინდობილობა ატვირთული უნდა იყოს "არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულების" გრაფაში.
3. ბინათმესაკუთრეთა თანხმობა ფასადის რეკონსტრუქციასთან ერთად, ასევე უნდა გაიცეს კორპუსის წითელ ხაზებში კიბის მონტაჟზეც. წარმოდგენილი იქნას ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განახლებული კრების ოქმი, თანხმობით ყველა სარეკონსტრუქციო სამუშაოზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.